საქართველოს კანონი
კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ

კარი I. ზოგადი ნაწილი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ტერმინების განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „დაცული ტერიტორია“ – „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი განსაზღვრული სტატუსის მქონე სახმელეთო ტერიტორია და/ან ზღვის აკვატორია;

ბ) „დაცული ტერიტორიების სისტემა“ – „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დაცული ტერიტორიების სხვადასხვა კატეგორიების ქსელი, რომელიც ფუნქციონირებს და იმართება, როგორც ერთიანი სისტემა;

გ) „დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელი“ – ბიოსფერული რეზერვატების, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების საერთაშორისო სამართლის ნორმებით დადგენილი სტატუსის მქონე დაცული ტერიტორიების ქსელი;

დ) „სახელმწიფო ნაკრძალი“ – დაცული ტერიტორია, რომელიც შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების I კატეგორიას – მკაცრი ბუნებრივი რეზერვატი (Strict Nature Reserve / Wilderness Area);

ე) „ეროვნული პარკი“ – დაცული ტერიტორია, რომელიც შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების II კატეგორიას – ეროვნული პარკი (National Park);

ვ) „აღკვეთილი“ – დაცული ტერიტორია, რომელიც შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების IV კატეგორიას – ჰაბიტატების/სახეობების მართვის ტერიტორია (Habitat / Species Management Area);

ზ) „მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია“ – დაცული ტერიტორია, რომელიც შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების VI კატეგორიას – რესურსების მართვის დაცული ტერიტორია (Managed Resource Protected Area);

თ) „ანთროპოგენური ზემოქმედება“ – ადამიანის, საზოგადოების მხრიდან სასიცოცხლო გარემოზე გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი გარდამქმნელი ზემოქმედება, რომელსაც უმეტესწილად მოსდევს ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა და ბუნებრივი რესურსების აღუდგენელი განადგურება;

ი) „ვიზიტორი“ – დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის პერსონალის გარდა ამ ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაშვებული პირი;

კ) “მანიპულაციები“ – მეცნიერული კვლევისა და მოვლა-პატრონობის აქტიური ქმედება და საქმიანობა, კერძოდ, ბუნებრივი მასალის მოპოვება, ლაბორატორიებისა და საცდელი სადგურების მოწყობა, ცხოველთა სახეობების ინტროდუქცია, რეინტროდუქცია, ტრანსლოკაცია, სანიტარიული და სხვა მოვლითი და აღდგენითი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები და სხვა;

ლ) „სამენეჯმენტო გეგმა“ – დაცული ტერიტორიის ფუნქციონალურ-გეგმარებითი ორგანიზაციისა და ეკონომიკური დაგეგმვის ინტეგრალური, განხორციელებად ღონისძიებებზე ორიენტირებული დოკუმენტი;

მ) (ამოღებულია - 20.07.2018, №3233);

ნ) (ამოღებულია);

ო) „ისტორიულ-კულტურული ძეგლების კონსერვაცია“ – ისტორიულ-კულტურული ძეგლების არსებულ მდგომარეობაში შენარჩუნება;

პ) “მონიტორინგი“ – გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და პროგნოზირების ერთიანი სისტემა;

ჟ) „მდგრადი განვითარება“ – საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც გარემოს დაცვისა და საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას, ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი;

რ) „ეკოსისტემა“ – გარკვეულ ტერიტორიაზე არსებულ ურთიერთმოქმედ ცოცხალ ორგანიზმთა და არაორგანულ ელემენტთა ერთობლიობა;

ს) „ბიოლოგიური მრავალფეროვნება“ – ცხოველთა და მცენარეთა მრავალფეროვნება სახეობებს შორის, ერთი სახეობის ფარგლებში და ეკოსისტემებში;

ტ) „ჭარბტენიანი ტერიტორიები“ – ჭაობები, ჭანჭრობები, ტორფიანი ადგილები ან წყალსატევები – ბუნებრივი, ხელოვნური, მუდმივი, დროებითი, გამდინარი, გაუდინარი, მტკნარი, ნაკლებად მარილიანი ან მარილიანი, ზღვის აკვატორიის ჩათვლით, რომლის სიღრმე უკუქცევის დროს არ აღემატება 6 მეტრს;

უ) „ბიომრავალფეროვნების კონვენცია“ – 1992 წლის კონვენცია „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“

(საქართველოს პარლამენტის უწყებები, №17, 1994წ., მუხ. 344);

ფ) „რამსარის კონვენცია“ – 1971 წლის რამსარის კონვენცია „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ” (პარლამენტის უწყებანი, №008, 1996 წ.);

ქ) „in-situ კონსერვაცია“ – გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა ბიოლოგიური სახეობების დაცვა ბუნებრივ პირობებში;

ღ) „დამხმარე (ბუფერული) ზონა“ – დაცული ტერიტორიის გარშემო არსებული ზონა, რომლის გამოყენება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოებს მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის კატეგორიის გამოყენებით.

საქართველოს 2007 წლის 23 მაისის კანონი №4791 - სსმ I, №19, 01.06.2007 წ., მუხ.167

საქართველოს 2018 წლის 20 ივლისის კანონი №3233 – ვებგვერდი, 13.08.2018წ.

მუხლი 2. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს ძირითად სამართლებრივ ურთიერთობებს კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის სფეროში.

2. კოლხეთის დაცული ტერიტორიებისათვის მიკუთვნებული მიწის, ტყის, წყლის და სხვა ბუნებრივი რესურსების, აგრეთვე ისტორიულ-კულტურული ძეგლების განკარგვასთან, დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით.

3. ქონებრივი ურთიერთობები კოლხეთის დაცული ტერიტორიების დაცვისა და გამოყენების სფეროში რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით.

მუხლი 3. საქართველოს კანონმდებლობა კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის სფეროში

კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, ბიომრავალფეროვნების კონვენციას, რამსარის კონვენციას და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებს, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, „გარემოს დაცვის შესახებ“, „ცხოველთა სამყაროს შესახებ“, „წყლის შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებს, ამ კანონსა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

საქართველოს 2017 წლის 1 ივნისის კანონი №901 - ვებგვერდი, 21.06.2017წ.

მუხლი 4. კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. კანონის ძირითადი მიზნებია:

ა) უზრუნველყოს კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნა;

ბ) დაარეგულიროს კოლხეთის დაცული ტერიტორიების მართვის მექანიზმი.

2. კანონის ძირითადი ამოცანებია:

ა) ხელი შეუწყოს ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად ბიოლოგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული, კოლხეთის ბუნებრივი ან სახეცვლილი ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვასა და აღდგენას;

ბ) უზრუნველყოს კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, განსაკუთრებით – საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვა, აღდგენა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება;

გ) ხელი შეუწყოს ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების სამართლებრივი მექანიზმის ჩამოყალიბებას კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე;

დ) კოლხეთის დაცული ტერიტორიების ფარგლებში უზრუნველყოს მიწის, წყლის, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს (მათ შორის, ტყეების) და სხვა ბუნებრივი რესურსების მოვლა, დაცვა, აღდგენა და ამ რესურსებით რაციონალური სარგებლობა; მიმდებარე სანაპირო ზოლში ეკოლოგიური წონასწორობის შესანარჩუნებლად 5 საზღვაო მილის სიგანის ზღვის აკვატორიის დაცვა; განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტებისა და ძეგლების დაცვა და აღდგენა; წყლის ობიექტების ბუნებრივი ბიოეკოლოგიური რეჟიმის დაცვა და მონიტორინგის განხორციელება.

საქართველოს 2003 წლის 6 ივნისის კანონი №2371 - სსმ I, №19, 01.07.2003 წ., მუხ.129

თავი II. კომპეტენციათა გამიჯვნა კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნასა და მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მოწესრიგების სფეროში

მუხლი 5. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენცია კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნასა და მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მოწესრიგების სფეროში

კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნასა და მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მოწესრიგების სფეროში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენცია განისაზღვრება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1696 - სსმ I, №29, 12.10.2009 წ., მუხ.179

მუხლი 6. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მონაწილეობა კოლხეთის დაცული ტერიტორიების მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მოწესრიგების სფეროში

ფიზიკური და იურიდიული პირები კოლხეთის დაცული ტერიტორიების მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მოწესრიგების სფეროში მონაწილეობენ ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კარი II. ძირითადი ნაწილი

თავი III. კოლხეთის დაცული ტერიტორიების მდებარეობა, ფართობი და საზღვრები

მუხლი 7. კოლხეთის დაცული ტერიტორიების კატეგორიები

კოლხეთის დაცული ტერიტორიები საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ნაწილია. ისინი იქმნება ამ კანონის მე-8–10 მუხლებით დადგენილი საზღვრების ფარგლებში და მოიცავს დაცული ტერიტორიების შემდეგ კატეგორიებს:

ა) კოლხეთის ეროვნული პარკი;
ბ) ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი;
გ) ქობულეთის აღკვეთილი;
დ) კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია;
ე) ქობულეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

მუხლი 8. კოლხეთის ეროვნული პარკის მდებარეობა, ფართობი და საზღვრები

1. კოლხეთის ეროვნული პარკის საერთო ფართობია 44308,5 ჰექტარი, მათ შორის, ხმელეთისა – 29032,5 ჰექტარი, ხოლო ზღვის აკვატორიისა – 15276 ჰექტარი.

2. კოლხეთის ეროვნული პარკის ზღვის აკვატორია მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y
1	704529,8	4693509	8	710260,1	4685407	15	717229,5	4683683
2	713382,7	4693252	9	714044,3	4685395	16	716965,7	4676726
3	716348,5	4684437	10	715961,3	4684345	17	707063,5	4675311
4	714114,6	4685594	11	716035,3	4683994	18	708510,7	4680982
5	710183	4685780	12	716250,4	4683880	19	715101,3	4688593
6	707445,3	4685230	13	716572,6	4684010	20	714469,4	4690468
7	707544,5	4684761	14	717103,5	4683755	21	716076	4685712

3. კოლხეთის ეროვნული პარკის სახმელეთო საზღვარი მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y	№	X	Y
1	727076	4657389	182	717356	4689630	363	736699	4674970	544	728390	4662466
2	726855	4657727	183	717680	4689753	364	736806	4674933	545	728026	4662370
3	726635	4658065	184	717962	4689825	365	736881	4674873	546	714885	4692862
4	726429	4658410	185	718234	4689534	366	737021	4674699	547	740900	4674157
5	726228	4658757	186	718305	4689489	367	737178	4674567	548	726268	4670529
6	726338	4658806	187	718588	4689492	368	737269	4674368	549	726282	4670594
7	726324	4658833	188	718840	4689343	369	737227	4674334	550	742852	4674876
8	726261	4658807	189	719230	4689231	370	737385	4674145	551	742611	4674462
9	726220	4658939	190	719343	4689156	371	737630	4674068	552	742738	4674598
10	726168	4658896	191	719354	4688642	372	737573	4673910	553	737943	4673760
11	726076	4659172	192	719228	4688604	373	737755	4673806	554	727537	4680890
12	725959	4659409	193	719062	4688665	374	738176	4673776	555	727934	4680835
13	725813	4659799	194	719065	4688616	375	738522	4674003	556	719324	4676810

14	725771	4660044	195	719112	4688603	376	738816	4674294	557	719406	4676419
15	725807	4660111	196	719252	4688493	377	739167	4674526	558	726010	4676927
16	725783	4660296	197	719266	4688433	378	739535	4674711	559	726347	4677108
17	725699	4660533	198	719539	4688431	379	739944	4674794	560	722511	4675079
18	725543	4660759	199	719845	4688493	380	739959	4674698	561	720672	4682558
19	725402	4660949	200	720138	4688332	381	740055	4674695	562	720340	4682503
20	725176	4661317	201	720422	4688327	382	740126	4674427	563	720506	4682550
21	725396	4661414	202	720695	4688465	383	740359	4674417	564	721045	4682574
22	725709	4661558	203	721139	4688226	384	740646	4674456	565	715365	4690642
23	726071	4661757	204	721442	4688090	385	740852	4674388	566	715246	4691009
24	726366	4661871	205	722049	4687822	386	740827	4674149	567	715117	4691372
25	726816	4661978	206	721905	4687377	387	740880	4674092	568	714974	4691748
26	727261	4662106	207	722350	4687403	388	741302	4674238	569	721767	4684889
27	727707	4662229	208	722718	4687170	389	741423	4674436	570	721397	4684801
28	727811	4661806	209	723154	4687098	390	741434	4674402	571	728390	4677713
29	727686	4661601	210	723594	4687243	391	741645	4674348	572	739299	4667701
30	728045	4661314	211	723921	4687154	392	741922	4674371	573	738971	4667475
31	727856	4661269	212	724245	4687050	393	742198	4674394	574	743644	4675157
32	728137	4660966	213	724624	4686812	394	742636	4674397	575	743653	4675156
33	727980	4660921	214	724817	4686496	395	743314	4675306	576	743652	4675149
34	727906	4660721	215	724845	4686103	396	743652	4675510	577	743643	4675150
35	727945	4660708	216	724816	4685652	397	743597	4675230	578	743598	4675143
36	727932	4660460	217	724716	4685226	398	743808	4675146	579	743594	4675144
37	727792	4660471	218	724368	4685193	399	744016	4675176	580	743595	4675148
38	727471	4660152	219	724020	4685159	400	744244	4675315	581	743599	4675147
39	727520	4660059	220	723778	4685268	401	744405	4675360	582	743557	4674957
40	727509	4659904	221	723650	4685123	402	744690	4675199	583	743561	4674955
41	727348	4659609	222	723271	4685087	403	744980	4675049	584	743560	4674951
42	727293	4659286	223	722893	4685050	404	745409	4675104	585	743556	4674952
43	727258	4659283	224	722514	4685014	405	745832	4675201	586	738644	4667247
44	727266	4659029	225	722139	4684964	406	745944	4675019	587	738317	4667020
45	727327	4658655	226	721037	4684680	407	746170	4674964	588	734406	4663766
46	727512	4658627	227	720676	4684560	408	746176	4674934	589	731676	4663259
47	727584	4658309	228	720491	4684551	409	746614	4674846	590	731312	4663169
48	727495	4658297	229	720175	4684418	410	747058	4674717	591	730942	4663110
49	727516	4657988	230	719859	4684285	411	747499	4674662	592	747028	4670350
50	727419	4657863	231	719536	4684168	412	747787	4674510	593	734341	4675807
51	727459	4657444	232	719212	4684056	413	747891	4674288	594	752340	4674423
52	719788	4675460	233	718734	4684101	414	747825	4673882	595	727772	4670828
53	719638	4675744	234	718256	4684145	415	748169	4673792	596	728061	4670885
54	719489	4676029	235	717799	4684274	416	748505	4673699	597	729856	4671421
55	719241	4677200	236	727706	4662281	417	748877	4673415	598	743076	4674922
56	719160	4677591	237	727601	4662857	418	748949	4673286	599	743231	4675094
57	719077	4677981	238	727147	4662908	419	749405	4673249	600	743569	4671194
58	718970	4678365	239	727026	4662896	420	749842	4673190	601	749736	4670948
59	718856	4678748	240	726892	4663154	421	750285	4673059	602	750519	4671966
60	718750	4679131	241	726841	4663309	422	750675	4673330	603	751116	4672262
61	718632	4679512	242	726739	4663486	423	750856	4673335	604	719348	4688899
62	718524	4679896	243	726649	4663691	424	750854	4673289	605	751655	4673226
63	718524	4680311	244	726605	4663774	425	750908	4673284	606	740795	4669226
64	718505	4680725	245	726448	4663864	426	750914	4673297	607	718866	4682935
65	718497	4680905	246	726338	4663976	427	751226	4673350	608	721877	4687521
66	718486	4681122	247	726276	4663885	428	751504	4673418	609	721751	4687966
67	718463	4681601	248	726011	4663772	429	751879	4673453	610	720956	4688508

68	718440	4682080	249	725863	4663905	430	751870	4673364	611	726091	4670205
69	718417	4682559	250	725585	4664040	431	751443	4673085	612	730058	4674147
70	718394	4683038	251	725378	4664223	432	751414	4673086	613	721640	4675373
71	718380	4683331	252	725303	4664495	433	751369	4672724	614	727876	4661873
72	718538	4683293	253	725033	4664590	434	751324	4672363	615	727867	4661460
73	718726	4683179	254	724632	4664655	435	750908	4672160	616	727638	4660303
74	718765	4683194	255	724564	4664543	436	750895	4672186	617	727267	4657417
75	718893	4683183	256	724494	4664531	437	750837	4672169	618	727996	4661118
76	719188	4682915	257	724482	4664482	438	750854	4672134	619	727154	4662748
77	719471	4682776	258	724122	4664442	439	750184	4671799	620	743573	4674791
78	719666	4682793	259	723989	4664775	440	749851	4671628	621	743582	4674789
79	719901	4682533	260	723783	4665146	441	749520	4671451	622	743580	4674782
80	720180	4682507	261	723622	4665580	442	749519	4671328	623	743571	4674784
81	721419	4682591	262	723504	4666027	443	749769	4671310	624	743520	4674764
82	721793	4682607	263	723439	4666485	444	749633	4671188	625	743516	4674765
83	722166	4682624	264	723444	4666701	445	749840	4670707	626	743515	4674761
84	722241	4682205	265	723260	4667024	446	749836	4670677	627	743519	4674760
85	722528	4681899	266	723196	4667467	447	749563	4670565	628	743479	4674574
86	722884	4681669	267	723093	4667890	448	749572	4670468	629	743484	4674573
87	723083	4681526	268	722898	4668103	449	749388	4670457	630	743483	4674568
88	723564	4681460	269	722791	4668319	450	748959	4670327	631	743478	4674569
89	723563	4681440	270	722628	4668596	451	748536	4670182	632	743506	4674424
90	723960	4681385	271	722484	4668786	452	748135	4669984	633	743515	4674422
91	724358	4681330	272	722484	4668863	453	747744	4669765	634	743514	4674415
92	724756	4681281	273	722681	4668893	454	747574	4670040	635	743505	4674417
93	725153	4681227	274	723055	4669013	455	747405	4670314	636	743438	4674386
94	725551	4681173	275	723414	4669084	456	746651	4670386	637	743443	4674385
95	725948	4681116	276	723466	4668981	457	746274	4670421	638	743437	4674382
96	726344	4681055	277	723712	4669007	458	745897	4670457	639	743442	4674381
97	726742	4681000	278	724177	4668954	459	745521	4670493	640	743400	4674192
98	727139	4680945	279	724522	4668941	460	745144	4670528	641	743404	4674191
99	728331	4680779	280	724804	4668958	461	744767	4670564	642	743399	4674187
100	728638	4680692	281	725158	4669026	462	744390	4670600	643	743403	4674186
101	728626	4680652	282	725347	4669147	463	744253	4670856	644	743433	4674054
102	728826	4680361	283	725638	4669160	464	744051	4671021	645	743442	4674052
103	728994	4680093	284	725930	4669173	465	743851	4671187	646	743431	4674047
104	729047	4679866	285	725928	4669520	466	743770	4671080	647	743440	4674045
105	728959	4679694	286	726012	4669860	467	743367	4671307	648	743363	4673998
106	729031	4679505	287	726168	4670550	468	743383	4671415	649	743368	4673997
107	728878	4679187	288	726420	4670564	469	743341	4671471	650	743363	4673994
108	728911	4678701	289	726447	4670683	470	742923	4671580	651	743367	4673993
109	729251	4678560	290	726708	4670645	471	742819	4671465	652	743322	4673803
110	729297	4678309	291	726733	4670817	472	742646	4671125	653	743330	4673801
111	729105	4678258	292	727135	4670817	473	742807	4670799	654	743321	4673795
112	729146	4678102	293	727537	4670818	474	742759	4670758	655	743329	4673793
113	728947	4678039	294	727911	4670891	475	742267	4670799	656	743365	4673699
114	728726	4678041	295	728314	4670963	476	741776	4670841	657	743374	4673697
115	728760	4677837	296	728701	4671075	477	741284	4670883	658	743363	4673692
116	728021	4677589	297	729086	4671189	478	741251	4670822	659	743372	4673690
117	727651	4677465	298	729471	4671306	479	741650	4670784	660	743282	4673612
118	727281	4677341	299	730241	4671539	480	742048	4670747	661	743294	4673609
119	726911	4677217	300	730372	4671488	481	742446	4670709	662	743280	4673600
120	726680	4677297	301	730275	4671858	482	742844	4670672	663	743291	4673597
121	725673	4676746	302	730066	4672079	483	742853	4670547	664	743243	4673421

122	725336	4676566	303	729890	4672378	484	742584	4670378	665	743247	4673420
123	724997	4676389	304	729913	4672737	485	742132	4670218	666	743242	4673416
124	724657	4676212	305	729907	4673096	486	741892	4670195	667	743246	4673415
125	724318	4676036	306	730108	4673379	487	741629	4670169	668	743292	4673332
126	723970	4675878	307	730283	4673676	488	741502	4669816	669	743301	4673330
127	723616	4675734	308	730236	4673945	489	741344	4669477	670	743290	4673325
128	723261	4675591	309	730179	4674261	490	741067	4669227	671	743299	4673323
129	723430	4675200	310	729738	4674145	491	741040	4669293	672	743203	4673227
130	723029	4674912	311	729664	4674600	492	740549	4669159	673	743207	4673226
131	722806	4674900	312	729397	4674817	493	740506	4669104	674	743202	4673223
132	722206	4675242	313	729300	4674954	494	740329	4669079	675	743206	4673222
133	721890	4675379	314	729321	4675068	495	740316	4669107	676	743165	4673034
134	721391	4675362	315	729405	4675086	496	740219	4669092	677	743169	4673033
135	721216	4675400	316	729521	4675500	497	740226	4669054	678	743164	4673030
136	721189	4675494	317	729654	4675905	498	740079	4668933	679	743168	4673029
137	720702	4675523	318	729928	4676161	499	739900	4668896	680	743214	4672964
138	720226	4675524	319	730247	4676359	500	739697	4668576	681	743223	4672963
139	717348	4684411	320	730619	4676394	501	739409	4668560	682	743212	4672957
140	717227	4684774	321	730884	4676390	502	739357	4668874	683	743222	4672956
141	717136	4685148	322	730888	4676372	503	738915	4669039	684	743126	4672832
142	717044	4685522	323	731048	4676352	504	738789	4669022	685	743130	4672831
143	716953	4685897	324	731047	4676321	505	738769	4668884	686	743125	4672827
144	716861	4686271	325	731187	4676276	506	739036	4668819	687	743130	4672826
145	716769	4686645	326	731166	4676202	507	739272	4668701	688	743147	4672588
146	716661	4687015	327	731372	4676126	508	739264	4668623	689	743156	4672586
147	716527	4687376	328	731518	4676004	509	739222	4668569	690	743145	4672581
148	716386	4687735	329	731688	4676031	510	739308	4668396	691	743154	4672579
149	716245	4688094	330	731746	4675997	511	739368	4668414	692	743088	4672636
150	716104	4688452	331	731851	4676020	512	739442	4668111	693	743093	4672635
151	715963	4688811	332	731970	4675968	513	739396	4668090	694	743092	4672631
152	715827	4689172	333	731993	4675985	514	739439	4668007	695	743088	4672632
153	715755	4689384	334	732288	4675714	515	739478	4668016	696	743048	4672436
154	715618	4689822	335	732591	4675453	516	739512	4667963	697	743053	4672435
155	715479	4690274	336	732948	4675283	517	739625	4667930	698	743047	4672432
156	714833	4692088	337	733349	4675250	518	737987	4666796	699	743052	4672431
157	715034	4692152	338	733748	4675283	519	737657	4666572	700	743066	4672195
158	714945	4692435	339	734082	4675501	520	737328	4666348	701	743075	4672193
159	714699	4693254	340	734541	4676156	521	736998	4666125	702	743065	4672188
160	714267	4693315	341	734817	4675975	522	736669	4665901	703	743074	4672186
161	714201	4693456	342	735111	4676286	523	736339	4665677	704	743008	4672239
162	714610	4693474	343	735167	4676285	524	736010	4665453	705	743012	4672238
163	714908	4693435	344	735420	4676490	525	735677	4665233	706	743011	4672233
164	714919	4693487	345	735724	4676595	526	735362	4665014	707	743007	4672234
165	715355	4693390	346	735681	4676556	527	735325	4664651	708	742965	4672045
166	715798	4693341	347	735855	4676550	528	735031	4664469	709	742969	4672044
167	715676	4693000	348	735845	4676487	529	734856	4664154	710	742964	4672040
168	715628	4692548	349	735772	4676470	530	734605	4663873	711	742968	4672039
169	715931	4692286	350	735773	4676456	531	734250	4663827	712	742991	4671843
170	716252	4692248	351	736071	4676375	532	733883	4663915	713	743000	4671841
171	716411	4691865	352	736004	4676271	533	733507	4663794	714	742999	4671834
172	716587	4691962	353	736014	4676125	534	733147	4663623	715	742990	4671836
173	716855	4691624	354	736143	4676100	535	732788	4663452	716	742930	4671843
174	716953	4691160	355	736171	4675783	536	732417	4663389	717	742926	4671844
175	716809	4691011	356	736068	4675380	537	732046	4663327	718	742925	4671840

176	716790	4690679	357	736092	4675170	538	730573	4663044	719	742929	4671839
177	716918	4690552	358	736379	4675163	539	730212	4662941	720	742884	4671636
178	717154	4690545	359	736671	4675144	540	729846	4662849	721	742888	4671636
179	717003	4690156	360	736671	4675114	541	729485	4662746	722	742883	4671632
180	716959	4690001	361	736780	4675046	542	729118	4662659	723	742887	4671631
181	717298	4689885	362	736699	4675002	543	728754	4662563	724	736418	4667811

საქართველოს 2007 წლის 23 მაისის კანონი №4791 - სსმ I, №19, 01.06.2007 წ., მუხ.167
საქართველოს 2011 წლის 13 ოქტომბრის კანონი №5128 - ვებგვერდი, 31.10.2011წ.
საქართველოს 2016 წლის 17 თებერვლის კანონი №4737 - ვებგვერდი, 25.02.2016წ.

მუხლი 8[1]. (ამოღებულია)
საქართველოს 2011 წლის 13 ოქტომბრის კანონი №5128 - ვებგვერდი, 31.10.2011წ.
საქართველოს 2012 წლის 19 ივნისის კანონი №6505 - ვებგვერდი, 02.07.2012წ.

მუხლი 9. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ქობულეთის აღკვეთილის მდებარეობა, ფართობი და საზღვრები

1. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის საერთო ფართობია 316,4 ჰექტარი და იგი მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y	№	X	Y
1	732036	4639321	7	733883	4637943	13	733450	4637201	19	731617	4638261
2	732316	4639163	8	732986	4638983	14	731645	4639166	20	731532	4638338
3	732595	4638980	9	734137	4637877	15	732775	4637412	21	731497	4638564
4	733328	4638247	10	734331	4637407	16	731858	4637991	22	733276	4638249
5	733336	4638113	11	734025	4637119	17	731666	4639025	23	733296	4638352
6	733512	4637987	12	733467	4637320	18	731513	4638704			

2. ქობულეთის აღკვეთილის საერთო ფართობია 466,3 ჰექტარი და იგი მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y	№	X	Y
1	731171	4639866	24	733975	4636367	47	731124	4637521	70	734171	4637871
2	731765	4639500	25	733901	4636511	48	731253	4637496	71	734253	4637907
3	733206	4638964	26	733816	4636530	49	731283	4637803	72	731445	4639699
4	734257	4637897	27	733763	4636440	50	731185	4637816	73	731201	4638665
5	734344	4637940	28	733713	4636448	51	731227	4637896	74	731184	4639596
6	734335	4637839	29	733659	4636401	52	731382	4637860	75	731220	4638282
7	734438	4637831	30	733598	4636415	53	731394	4637929	76	731201	4637886
8	734546	4637654	31	733570	4636394	54	731474	4637970	77	732045	4639333
9	734538	4637583	32	733244	4636454	55	731548	4637961	78	732982	4638991
10	734596	4637575	33	733222	4636214	56	731574	4638178	79	732751	4639012
11	734595	4637530	34	733157	4636136	57	731399	4638179	80	732634	4638985
12	734496	4637475	35	733107	4635699	58	731408	4638283	81	732523	4639093
13	734412	4637393	36	732727	4635741	59	731266	4638301	82	732286	4639224
14	734248	4637258	37	732767	4636179	60	731265	4638313	83	732131	4639291
15	734086	4637116	38	732817	4636440	61	731224	4638307	84	732425	4639100
16	734062	4637063	39	732728	4636518	62	731162	4638287	85	732871	4638986
17	734321	4636935	40	732354	4636495	63	731161	4638329	86	733338	4638246
18	734201	4636681	41	732233	4636433	64	731190	4638348	87	733353	4638109
19	734058	4636706	42	731815	4636420	65	731210	4638983	88	733531	4637988
20	734146	4636575	43	731437	4636451	66	731209	4639300	89	733431	4638054
21	734097	4636558	44	731059	4636483	67	731182	4639360	90	733331	4638188
22	734009	4636598	45	731079	4636829	68	733747	4638200			
23	734040	4636431	46	731100	4637175	69	734109	4638153			

საქართველოს 2016 წლის 17 თებერვლის კანონი №4737 - ვებგვერდი, 25.02.2016წ.

მუხლი 10. (ამოღებულია)
საქართველოს 2011 წლის 13 ოქტომბრის კანონი №5128 - ვებგვერდი, 31.10.2011წ.

თავი IV. კოლხეთის დაცული ტერიტორიების ტერიტორიულ-ფუნქციონალური ორგანიზაცია

მუხლი 11. კოლხეთის დაცული ტერიტორიების ტერიტორიულ-ფუნქციონალური ორგანიზაცია

კოლხეთის დაცული ტერიტორიების ტერიტორიულ-ფუნქციონალური ორგანიზაცია ეფუძნება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ " საქართველოს კანონით დადგენილ დაცული ტერიტორიების ზონირების პრინციპს, რომლის შესაბამისად დაცული ტერიტორიის თითოეული კატეგორიის კანონით დადგენილი საზღვრების ფარგლებში შეიძლება მოეწყოს (გამოიყოს) ამავე კანონით განსაზღვრული ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონა/ზონები.

მუხლი 12. კოლხეთის ეროვნული პარკის ზონირება

1. კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ეწყობა შემდეგი ტერიტორიულ - ფუნქციონალური ზონები:

ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა;
ბ) ბუნების მართვადი დაცვის ზონა;
გ) აღდგენის ზონა;
დ) ტრადიციული გამოყენების ზონა;
ე) ვიზიტორთა ზონა;
ვ) ისტორიულ - კულტურული ზონა;
ზ) ადმინისტრაციის ზონა.

2. კოლხეთის ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის, ბუნების მართვადი დაცვის, აღდგენის, ტრადიციული გამოყენების, ვიზიტორთა, ისტორიულ - კულტურული და ადმინისტრაციის ზონების ფართობი და მათ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები განისაზღვრება ამ კანონის მე -11– მე -18 მუხლების შესაბამისად.
საქართველოს 2005 წლის 1 ივლისის კანონი №1878 - სსმ I, №41, 19.07.2005 წ., მუხ.296

მუხლი 13. კოლხეთის ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონა

1. კოლხეთის ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონა (შემდგომ ამ მუხლში – ბუნების მკაცრი დაცვის ზონა) „ დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ " საქართველოს კანონის შესაბამისად ეწყობა ხელუხლებელი ბუნების შენარჩუნების, არამანიპულაციური სა მეცნიერო კვლევისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის.

2. ბუნების მკაცრი დაცვის ზონაში დაშვებულია მხოლოდ:

ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;
ბ) საგანმანათლებლო საქმიანობა;
გ) სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის პერსონალის ავტომოტო- და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;
დ) მონიტორინგის სამუშაოების წარმოება;
ე) საკადასტრო სამუშაოების განხორციელება;
ვ) ბუნების მკაცრი დაცვის ზონის კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება (ბუნების მკაცრი დაცვის ზონის ფიზიკური დაცვა);
ზ) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება;
თ) ვიზიტორთა ყოფნა და გადაადგილება ამ კანონის მე -16 მუხლით განსაზღვრული წესით დადგენილ საზღვრებში.

3. ბუნების მკაცრი დაცვის ზონის მდებარეობა, ფართობი და საზღვრები „ დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დგინდება ამავე დაცული ტერიტორიის სამენეჯმენტო გეგმის მიხედვით.
საქართველოს 2011 წლის 13 ოქტომბრის კანონი №5128 - ვებგვერდი, 31.10.2011წ.
საქართველოს 2020 წლის 13 ივლისის კანონი №6752 – ვებგვერდი, 20.07.2020წ.

მუხლი 14. კოლხეთის ეროვნული პარკის ბუნების მართვადი დაცვის ზონა

1. კოლხეთის ეროვნული პარკის ბუნების მართვადი დაცვის ზონა (შემდგომ ამ მუხლში – ბუნების მართვადი დაცვის ზონა) „ დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ " საქართველოს კანონის შესაბამისად ეწყობა გარემოს დაცვის, მოვლა - პატრონობისა და აღდგენის, აგრეთვე მანიპულაციური სა მეცნიერო კვლევის, ტურიზმისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის.

2. ბუნების მართვადი დაცვის ზონაში დაშვებულია მხოლოდ:

ა) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევები;
ბ) საგანმანათლებლო საქმიანობა;
გ) ეკოტურიზმი;
დ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;
ე) სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით ავტომოტო- და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;
ვ) მონიტორინგის სამუშაოების წარმოება;
ზ) საკადასტრო სამუშაოების განხორციელება;
თ) ბუნების მართვადი დაცვის ზონის კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება (ბუნების მართვადი დაცვის ზონის ფიზიკური დაცვა);
ი) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება;
კ) ვიზიტორთა ყოფნა და გადაადგილება ამ კანონის მე -16 მუხლით განსაზღვრული წესით დადგენილ საზღვრებში.
3. ბუნების მართვადი დაცვის ზონის მდებარეობა, ფართობი და საზღვრები „ დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დგინდება ამავე დაცული ტერიტორიის სამენეჯმენტო გეგმის მიხედვით.
საქართველოს 2011 წლის 13 ოქტომბრის კანონი №5128 - ვებგვერდი, 31.10.2011წ.
საქართველოს 2020 წლის 13 ივლისის კანონი №6752 – ვებგვერდი, 20.07.2020წ.

მუხლი 15. კოლხეთის ეროვნული პარკის აღდგენის ზონა
1. კოლხეთის ეროვნული პარკის აღდგენის ზონა (შემდგომ ამ მუხლში – აღდგენის ზონა) „ დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ეწყობა ანთროპოგენური ჩარევით დაზიანებული ბუნების ობიექტების და ტერიტორიების დაცვა - აღდგენისათვის.
2. აღდგენის ზონაში დაშვებულია მხოლოდ:
ა) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევები;
ბ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;
გ) სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით ავტომოტო- და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;
დ) მონიტორინგის სამუშაოების წარმოება;
ე) საკადასტრო სამუშაოების განხორციელება;
ვ) აღდგენის ზონის კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება (აღდგენის ზონის ფიზიკური დაცვა);
ზ) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება.
3. აღდგენის ზონის მდებარეობა, ფართობი და საზღვრები „ დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დგინდება ამავე დაცული ტერიტორიის სამენეჯმენტო გეგმის მიხედვით.
საქართველოს 2003 წლის 6 ივნისის კანონი №2371 - სსმ I, №19, 01.07.2003 წ., მუხ.129
საქართველოს 2011 წლის 13 ოქტომბრის კანონი №5128 - ვებგვერდი, 31.10.2011წ.
საქართველოს 2020 წლის 13 ივლისის კანონი №6752 – ვებგვერდი, 20.07.2020წ.

მუხლი 15[1]. კოლხეთის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონა
1. კოლხეთის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონა (შემდგომ ამ მუხლში – ტრადიციული გამოყენების ზონა) „ დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ “ საქართველოს კანონის შესაბამისად ეწყობა ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის დაცვისა და თვითმყოფადი გარემოს შენარჩუნებისათვის.
2. ტრადიციული გამოყენების ზონის ძირითადი მიზანია განახლებადი ბუნებრივი რესურსების კონტროლირებადი და მდგრადი გამოყენება ეკოსისტემების დაცვისა და მონიტორინგის აუცილებელი განხორციელებით.
3. ტრადიციული გამოყენების ზონაში დაშვებულია მხოლოდ:
ა) ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებისა და ბუნებრივი პროდუქტიულობის გათვალისწინებით ლიმიტირებული ძოვება, თიბვა, თევზჭერა და საშეშე მერქნის დამზადება;
ბ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევები;
გ) საგანმანათლებლო საქმიანობა;
დ) ეკოტურიზმი, მათ შორის, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა;
ე) ვიზიტორთა გადაადგილება განსაზღვრული წესით დადგენილ საზღვრებში (ქვეითად, ცხენით, ნიჩბიანი ან ელექტრომძრავიანი ნავით);
ვ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;
ზ) მონიტორინგის სამუშაოების წარმოება;

თ) საკადასტრო სამუშაოების განხორციელება;

ი) სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით ავტომოტო-, საჰაერო და სანაოსნო სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება;

კ) ტრადიციული გამოყენების ზონის ფიზიკური დაცვის მიზნით აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

4. ტრადიციული გამოყენების ზონის ზუსტი მდებარეობა, ფართობი და საზღვრები „ დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ " საქართველოს კანონის შესაბამისად დგინდება ამავე დაცული ტერიტორიის სა მენეჯმენტო გეგმის მიხედვით.

საქართველოს 2005 წლის 1 ივლისის კანონი №1878 - სსმ I, №41, 19.07.2005 წ., მუხ.296
საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4226 - სსმ №2, 04.01.2007 წ., მუხ.31
საქართველოს 2011 წლის 13 ოქტომბრის კანონი №5128 - ვებგვერდი, 31.10.2011წ.
საქართველოს 2020 წლის 13 ივლისის კანონი №6752 – ვებგვერდი, 20.07.2020წ.

მუხლი 16. კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ზონა

1. კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ზონა (შემდგომ ამ მუხლში – ვიზიტორთა ზონა) ეწყობა კოლხეთის ეროვნული პარკის ამ კანონის მე-13, მე-14, 15^1, მე-17 და მე-18 მუხლებით დადგენილი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების ფარგლებში.

2. ვიზიტორთა ზონა ეწყობა ბუნების დაცვის, რეკრეაციისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის.

3. ვიზიტორთა ზონის თითოეული კონკრეტული უბნის ფარგლებში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული კოლხეთის ეროვნული პარკის იმ ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონის რეჟიმით, რომლის ტერიტორიის ნაწილსაც მოიცავს აღნიშნული უბანი.

4. კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ზონის ფართობი და საზღვრები „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დგინდება ამავე დაცული ტერიტორიის სამენეჯმენტო გეგმის მიხედვით.

საქართველოს 2020 წლის 13 ივლისის კანონი №6752 – ვებგვერდი, 20.07.2020წ.

მუხლი 17. კოლხეთის ეროვნული პარკის ისტორიულ-კულტურული ზონა

1. კოლხეთის ეროვნული პარკის ისტორიულ-კულტურული ზონა (შემდგომ ამ მუხლში – ისტორიულ-კულტურული ზონა) ეწყობა ბუნებრივი გარემოს, ისტორიულ-კულტურული ობიექტების და/ან არქიტექტურული ძეგლების დაცვა-აღდგენის, რეკრეაციის, ტურიზმისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. ისტორიულ-კულტურული ზონის მოწყობის ძირითადი მიზანია აგრეთვე ზონის ფარგლებში მდებარე ისტორიულ-კულტურული ძეგლებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების დაცვა და კონსერვაცია.

2. ისტორიულ-კულტურულ ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლის მე-3 პუნქტით.

3. ისტორიულ-კულტურულ ზონაში დაშვებულია მხოლოდ:

ა) საგანმანათლებლო საქმიანობა;

ბ) ტურიზმი;

გ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება და კონსერვაცია;

დ) სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით ავტომოტო- და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;

ე) მონიტორინგის სამუშაოების წარმოება;

ვ) საკადასტრო სამუშაოების განხორციელება;

ზ) ისტორიულ-კულტურული ზონის კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება (ისტორიულ-კულტურული ზონის ფიზიკური დაცვა);

თ) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება;

ი) ვიზიტორთა ყოფნა და გადაადგილება.

4. კოლხეთის ეროვნული პარკის ისტორიულ-კულტურული ზონის მდებარეობა, ფართობი და საზღვრები „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ " საქართველოს კანონის შესაბამისად დგინდება ამავე დაცული ტერიტორიის სამენეჯმენტო გეგმის მიხედვით.

საქართველოს 2020 წლის 13 ივლისის კანონი №6752 – ვებგვერდი, 20.07.2020წ.

მუხლი 18. კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ზონა

1. კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ზონა (შემდგომ ამ მუხლში – ადმინისტრაციის ზონა) ეწყობა კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განსათავსებლად.

2. ადმინისტრაციის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლის მე-3 პუნქტით.

3. ადმინისტრაციის ზონაში დაშვებულია მხოლოდ:

ა) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;

ბ) საგანმანათლებლო საქმიანობა;
გ) ტურიზმი;
დ) მონიტორინგის სამუშაოების წარმოება;
ე) საკადასტრო სამუშაოების განხორციელება;
ვ) ადმინისტრაციის ზონის კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება (ადმინისტრაციის ზონის ფიზიკური დაცვა);
ზ) ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება;
თ) ვიზიტორთა ყოფნა და გადაადგილება;
ი) ეროვნული პარკის ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელი სამუშაოების წარმოება.
4. კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ზონის მდებარეობა, ფართობი და საზღვრები „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დგინდება ამავე დაცული ტერიტორიის სამენეჯმენტო გეგმის მიხედვით.

მუხლი 19. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიულ-ფუნქციონალური ორგანიზაცია

1. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად იქმნება ბუნების, ბუნებრივი პროცესებისა და გენეტიკური რესურსების დინამიკურ და ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნებისა და მათზე უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე მეცნიერული კვლევა-ძიების, საგანმანათლებლო საქმიანობისა და გარემოს მონიტორინგის მიზნით. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის შექმნის ძირითადი მიზანია აგრეთვე ამ კანონის მე-9 მუხლით დადგენილი საზღვრების ფარგლებში არსებული ბუნებრივი ეკოსისტემებისა და გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების შენარჩუნება და დაცვა.
2. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლის მე-3 პუნქტით.
3. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალში დაშვებულია მხოლოდ:
ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;
ბ) საგანმანათლებლო საქმიანობა;
გ) ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის პერსონალის ავტომოტო- და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;
დ) მონიტორინგის სამუშაოების წარმოება;
ე) საკადასტრო სამუშაოების განხორციელება;
ვ) სახელმწიფო ნაკრძალის კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება (სახელმწიფო ნაკრძალის ფიზიკური დაცვა);
ზ) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება.
4. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე არ ეწყობა სხვადასხვა ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონები და შესაბამისად მთელ მის ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ნაკრძალის კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის ერთიანი რეჟიმი.
საქართველოს 2020 წლის 13 ივლისის კანონი №6752 – ვებგვერდი, 20.07.2020წ.

მუხლი 20. ქობულეთის აღკვეთილის ტერიტორიულ-ფუნქციონალური ორგანიზაცია

1. ქობულეთის აღკვეთილი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ “ საქართველოს კანონის შესაბამისად იქმნება ეროვნული მნიშვნელობის მქონე ცოცხალი ორგანიზმების ველური სახეობების, სახეობათა ჯგუფების, ბიოცენოზების და არაორგანული ბუნების წარმონაქმნების შესანარჩუნებლად საჭირო ბუნებრივი პირობების დაცვის მიზნით. ქობულეთის აღკვეთილის შექმნის ძირითადი მიზანია აგრეთვე ამ კანონის მე-9 მუხლით დადგენილი საზღვრების ფარგლებში არსებული ბუნებრივი ეკოსისტემების და ბიოლოგიური მრავალფეროვნების აღდგენისა და დაცვისათვის ხელის შეწყობა.
2. ქობულეთის აღკვეთილში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლის მე-3 პუნქტით.
3. ქობულეთის აღკვეთილში დაშვებულია მხოლოდ:
ა) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;
ბ) საგანმანათლებლო საქმიანობა;
გ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;
დ) სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით ავტომოტო- და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;
ე) მონიტორინგის სამუშაოების წარმოება;
ვ) საკადასტრო სამუშაოების განხორციელება;
ზ) ქობულეთის აღკვეთილის კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება (ქობულეთის აღკვეთილის ფიზიკური დაცვა);
თ) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება;
ი) სპეციალურად მოწყობილ ინფრასტრუქტურაზე (ბილიკები, ხიდები და სხვა) ვიზიტორთა გადაადგილება

და მკაცრი კონტროლის პირობებში ცალკეული განახლებადი რესურსების მოხმარება;

კ) (ამოღებულია – 25.03.2013, №480);

ლ) არსებული ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებისათვის საჭირო სამუშაოების შესრულება.

4. ქობულეთის აღკვეთილის ტერიტორიაზე „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ “ საქართველოს კანონის შესაბამისად შეიძლება მოეწყოს სხვადასხვა ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონები, რომლებიც დგინდება დაცული ტერიტორიის სამენეჯმენტო გეგმის მიხედვით.

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5299 - ვებგვერდი, 05.12.2011წ.

საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კანონი №480 – ვებგვერდი, 05.04.2013წ.

საქართველოს 2020 წლის 13 ივლისის კანონი №6752 – ვებგვერდი, 20.07.2020წ.

მუხლი 21. (ამოღებულია)

საქართველოს 2011 წლის 13 ოქტომბრის კანონი №5128 - ვებგვერდი, 31.10.2011წ.

თავი V. კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე დაშვებული საქმიანობის განვითარების პროგრამები

მუხლი 22. (ამოღებულია)

საქართველოს 2011 წლის 13 ოქტომბრის კანონი №5128 - ვებგვერდი, 31.10.2011წ.

მუხლი 23. კოლხეთის ეროვნულ პარკში დაშვებული საქმიანობის განვითარების ინტეგრალური პროგრამები

1. კოლხეთის ეროვნულ პარკში დაშვებული საქმიანობა ხორციელდება კოლხეთის ეროვნული პარკის სამენეჯმენტო გეგმით განსაზღვრული დაშვებული საქმიანობის განვითარების ინტეგრალური პროგრამების ფარგლებში.

2. კოლხეთის ეროვნული პარკის სამენეჯმენტო გეგმით განსაზღვრული დაშვებული საქმიანობის განვითარების ინტეგრალური პროგრამების შემუშავება წარმოებს ამ კანონის მე-13–18 მუხლებით დადგენილ ტერიტორიულ-ფუნქციონალურ ზონებში დაშვებული საქმიანობის სახეობების მიხედვით.

მუხლი 24. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალში დაშვებული საქმიანობის განვითარების ინტეგრალური პროგრამები

1. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალში დაშვებული საქმიანობა ხორციელდება სამენეჯმენტო გეგმით განსაზღვრული დაშვებული საქმიანობის განვითარების ინტეგრალური პროგრამების ფარგლებში.

2. სამენეჯმენტო გეგმით განსაზღვრული დაშვებული საქმიანობის განვითარების ინტეგრალური პროგრამების შემუშავება წარმოებს ამ კანონის მე-19 მუხლით დადგენილი დაშვებული საქმიანობის სახეობების მიხედვით.

მუხლი 25. ქობულეთის აღკვეთილში დაშვებული საქმიანობის განვითარების ინტეგრალური პროგრამები

1. ქობულეთის აღკვეთილში დაშვებული საქმიანობა ხორციელდება სამენეჯმენტო გეგმით განსაზღვრული დაშვებული საქმიანობის განვითარების ინტეგრალური პროგრამების ფარგლებში.

2. სამენეჯმენტო გეგმით განსაზღვრული დაშვებული საქმიანობის განვითარების ინტეგრალური პროგრამების შემუშავება წარმოებს ამ კანონის მე-20 მუხლით დადგენილი დაშვებული საქმიანობის სახეობების მიხედვით.

მუხლი 26. (ამოღებულია)

საქართველოს 2011 წლის 13 ოქტომბრის კანონი №5128 - ვებგვერდი, 31.10.2011წ.

თავი VI. კოლხეთის დაცული ტერიტორიების მართვა

მუხლი 27. კოლხეთის დაცული ტერიტორიების მართვა

1. კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების მიზნით საქართველოში მოქმედებს დაცული ტერიტორიების მართვის ერთიანი სახელმწიფო სისტემა, რომელიც ამ თავით განსაზღვრულ ურთიერთობათა გარდა მოიცავს დაცული ტერიტორიების ფუნქციონირებისა და განვითარების ურთიერთობათა რეგულირების ნორმებს. დაცული ტერიტორიების მართვის ერთიანი სახელმწიფო სისტემის ძირითადი მიზნებია:

ა) დაცული ტერიტორიების მართვის, ფუნქციონირებისა და განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა;

ბ) ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის დაცული ტერიტორიებით სარგებლობის თანაბარი პირობების უზრუნველყოფა;

გ) დაცული ტერიტორიების მართვის, ფუნქციონირებისა და განვითარების სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება;

დ) დაცული ტერიტორიების მართვის, ფუნქციონირებისა და განვითარების სფეროში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების უზრუნველყოფა;

ე) საზოგადოებრიობის ინფორმირება დაცული ტერიტორიების განვითარების მდგომარეობის შესახებ.

2. კოლხეთის ეროვნული პარკის, ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის და ქობულეთის აღკვეთილის მართვა ხორციელდება „ დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ “ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2[1]. (ამოღებულია – 19.06.2012, №65 05).

3. (ამოღებულია – 13.10.2011, №5128).

4. (ამოღებულია – 13.10.2011, №5128).

5. (ამოღებულია).

6. საქართველოს სასაზღვრო ზოლში კოლხეთის დაცული ტერიტორიების მართვისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე დაცული ტერიტორიების ამ კანონით განსაზღვრული რეჟიმისა და ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონირების შესაბამისად, სტიქიური უბედურების, საგანგებო მდგომარეობისა და კატასტროფების დროს მოქმედი წესები, აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო წესები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს 2005 წლის 1 ივლისის კანონი №1878 - სსმ I, №41, 19.07.2005 წ., მუხ.296
საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5631 - სსმ №48, 27.12.2007 წ., მუხ.421
საქართველოს 2011 წლის 13 ოქტომბრის კანონი №5128 - ვებგვერდი, 31.10.2011წ.
საქართველოს 2012 წლის 19 ივნისის კანონი №6505 - ვებგვერდი, 02.07.2012წ.

მუხლი 28. (ამოღებულია)
საქართველოს 2011 წლის 13 ოქტომბრის კანონი №5128 - ვებგვერდი, 31.10.2011წ.

მუხლი 29. კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების დაგეგმვა

1. კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების დაგეგმვა „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ და „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად წარმოადგენს საქართველოს დაცული ტერიტორიების დაგეგმვის სისტემისა და გარემოს დაცვის დაგეგმვის ერთიანი სისტემის ნაწილს.

2. დაცული ტერიტორიების დაგეგმვის სისტემა მოიცავს თითოეული დაცული ტერიტორიის სამენეჯმენტო გეგმას. კოლხეთის დაცული ტერიტორიების სამენეჯმენტო გეგმები მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) ამ კანონის V თავით განსაზღვრულ ამავე კანონით დადგენილ მათი საზღვრების ფარგლებში დაშვებული საქმიანობის განვითარების პროგრამებს.

3. დაცული ტერიტორიის დაგეგმვისა და დაცული ტერიტორიის სამენეჯმენტო გეგმის შედგენის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კოლხეთის ეროვნული პარკის, ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ქობულეთის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმებს ან დროებითი რეგულირების წესებს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მისაღები ნორმატიული აქტებით დასამტკიცებელი სამენეჯმენტო გეგმების საფუძველს წარმოადგენს ამ კანონის III და IV თავებით დადგენილი კოლხეთის დაცული ტერიტორიების ფართობი, საზღვრები და ტერიტორიულ-ფუნქციონალური ორგანიზაცია.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მისაღები ნორმატიული აქტებით დასამტკიცებელი სამენეჯმენტო გეგმების განხილვა წარმოებს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს 2007 წლის 23 მაისის კანონი №4791 - სსმ I, №19, 01.06.2007 წ., მუხ.167
საქართველოს 2011 წლის 11 მარტის კანონი №4404 - ვებგვერდი,17.03.2011წ.
საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კანონი №480 – ვებგვერდი, 05.04.2013წ.
საქართველოს 2014 წლის 30 აპრილის კანონი №2311 - ვებგვერდი, 13.05.2014წ.

მუხლი 30. სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა კოლხეთის დაცული ტერიტორიების დაცვისა და გამოყენების სფეროში

1. კოლხეთის დაცული ტერიტორიების დაცვისა და გამოყენების სფეროში სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მიზანია უზრუნველყოს ყველა ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ დაცული ტერიტორიების დაცვისა და გამოყენების ვალდებულებათა შესრულება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნათა დაცვა.

2. კოლხეთის დაცული ტერიტორიების დაცვისა და გამოყენების სფეროში სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას ექვემდებარება ფიზიკური და/ან იურიდიული პირის ნებისმიერი ქმედება, რომელიც დაკავშირებულია კოლხეთის დაცული ტერიტორიების დაცვასა და გამოყენებასთან.

3. კოლხეთის დაცული ტერიტორიების დაცვისა და გამოყენების სფეროში სახელმწიფო კონტროლზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს 2005 წლის 1 ივლისის კანონი №1878 - სსმ I, №41, 19.07.2005 წ., მუხ.296
საქართველოს 2011 წლის 11 მარტის კანონი №4404 - ვებგვერდი,17.03.2011წ.
საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კანონი №480 – ვებგვერდი, 05.04.2013წ.

საქართველოს 2017 წლის 7 დეკემბრის კანონი №1656 – ვებგვერდი, 14.12.2017წ.

მუხლი 31. კოლხეთის დაცული ტერიტორიების მონიტორინგი

1. დაცული ტერიტორიების მონიტორინგი წარმოადგენს „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემის ნაწილს.

2. კოლხეთის დაცული ტერიტორიების მონიტორინგი ხორციელდება საქართველოს დაცული ტერიტორიების ერთიანი მონიტორინგის ფარგლებში.

3. დაცულ ტერიტორიებზე დაცული ტერიტორიების ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების მიხედვით მონიტორინგის წარმოების წესი განისაზღვრება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 32. (ამოღებულია)

საქართველოს 2011 წლის 13 ოქტომბრის კანონი №5128 - ვებგვერდი, 31.10.2011წ.

მუხლი 33. (ამოღებულია)

საქართველოს 2005 წლის 1 ივლისის კანონი №1878 - სსმ I, №41, 19.07.2005 წ., მუხ.296

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5631 - სსმ №48, 27.12.2007 წ., მუხ.421

თავი VII. კოლხეთის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების ეკონომიკური მექანიზმები

მუხლი 34. კოლხეთის დაცული ტერიტორიების დაფინანსება

კოლხეთის დაცული ტერიტორიების დაფინანსება ხორციელდება „ დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ “ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5631 - სსმ №48, 27.12.2007 წ., მუხ.421

მუხლი 35. კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ეკონომიკური სტიმულირება

კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ეკონომიკური სტიმულირება „გარემოს დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში შეიძლება განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VIII. ბუნებრივი რესურსების გამოყენება და დაცვა კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე

მუხლი 36. ბუნებრივი რესურსების გამოყენება და დაცვა კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე

1. კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსების გამოყენება და დაცვა ხორციელდება „გარემოს დაცვის შესახებ “ და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ “ საქართველოს კანონებით და ამ კანონის 37-ე–42-ე მუხლებით დადგენილი წესით.

2. დაცული ტერიტორიების განსაზღვრული რეჟიმისა და ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონირების შესაბამისად, ბუნებრივი რესურსების აღდგენისა და მდგომარეობის გაუმჯობესების წესები და სათიბი და საძოვარი სავარგულების დაცვის, თიბვისა და ძოვების წესები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 37. წიაღისეული რესურსების გამოყენება და დაცვა კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე

1. კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე წიაღისეული რესურსების გამოყენება და დაცვა ხორციელდება დაცული ტერიტორიების ამ კანონით განსაზღვრული რეჟიმის შესაბამისად–„წიაღის შესახებ “ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ წიაღისეული რესურსების გამოყენებისა და დაცვის მოთხოვნათა საფუძველზე.

2. „წიაღის შესახებ “ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის შესაბამისად იშვიათი (უნიკალური) გეოლოგიური, პალეონტოლოგიური, არქეოლოგიური ობიექტების, მინერალური წარმონაქმნების, მეტეორიტების განლაგების ადგილებს, აგრეთვე წიაღის ისეთ უბნებს, რომელთაც მეცნიერული, ისტორიული, ესთეტიკური ან სხვა კულტურული ღირებულება აქვთ, შეიძლება მიეკუთვნოს დაცული ტერიტორიების შესაბამისი კატეგორია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 38. ცხოველთა სამყაროს ობიექტების გამოყენება და დაცვა კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე

1. კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე ცხოველთა სამყაროს ობიექტების გამოყენება და დაცვა ხორციელდება დაცული ტერიტორიების ამ კანონით განსაზღვრული რეჟიმის შესაბამისად – „ცხოველთა სამყაროს შესახებ “ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ცხოველთა სამყაროს ობიექტების გამოყენებისა და დაცვის მოთხოვნათა საფუძველზე.

2. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალში და კოლხეთის ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონაში აკრძალულია ნადირობა, თევზჭერა, წყლის უხერხემლოთა და ზღვის ძუძუმწოვართა მოპოვება, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარი სარგებლობა.

3. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალსა და კოლხეთის ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონაში

სტიქიური უბედურებისა და კატასტროფის სალიკვიდაციო ღონისძიებათა განხორციელების ფარგლებში საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა სახეობების გადარჩენის, გენოფონდის რეზერვატის შექმნის ან ვეტერინარული მიზნით გარეული ცხოველების დაჭერა რეგულირდება „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

4. ქობულეთის აღკვეთილში და კოლხეთის დაცული ტერიტორიების სხვა კატეგორიებზე (მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები) შეიძლება მთლიანად აიკრძალოს ან შეიზღუდოს ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის ცალკეული სახეები და სხვა საქმიანობა, რომელიც შეუთავსებელია ცხოველთა სამყაროს დაცვის მოთხოვნათა სამართლებრივ ნორმებთან.

5. კოლხეთის დაცული ტერიტორიების ამ კანონით დადგენილი საზღვრების ფარგლებში არსებულ საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიებზე ცხოველთა სამყაროს ობიექტების დაცვა ხორციელდება მასში გაერთიანებული დაცული ტერიტორიის (ტერიტორიების) შესაბამისი რეჟიმით, საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა გათვალისწინებით.

საქართველოს 2003 წლის 6 ივნისის კანონი №2371 - სსმ I, №19, 01.07.2003 წ., მუხ.129

მუხლი 39. წყლის რესურსების გამოყენება და დაცვა კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე

1. კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე წყლის რესურსების გამოყენება და დაცვა ხორციელდება დაცული ტერიტორიების ამ კანონით განსაზღვრული რეჟიმის შესაბამისად – „წყლის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებულ წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის მოთხოვნათა საფუძველზე.

2. კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე არსებული წყლის ობიექტების დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელში ჩართვა (საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია) ხორციელდება საერთაშორისო შეთანხმებებითა და ხელშეკრულებებით დადგენილი ნორმებით. კოლხეთის დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელში ჩართული წყლის ობიექტების დაცვისა და გამოყენების სამართლებრივი რეჟიმი განისაზღვრება საერთაშორისო შეთანხმებებითა და ხელშეკრულებებით და საქართველოს კანონმდებლობით.

3. დაცული ტერიტორიების კატეგორიის მქონე წყლის ობიექტების პერსპექტიული ქსელის შექმნის მიზნით განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ჯგუფს მიკუთვნებული წყლის ობიექტების ბაზაზე ყალიბდება წყლის ობიექტების სარეზერვო ფონდი.

4. წყლის ობიექტების სარეზერვო ფონდის შექმნის წესი განისაზღვრება „წყლის შესახებ “ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ამავე კანონის 93-ე მუხლის „ვ “ ქვეპუნქტით დადგენილი მისაღები ნორმატიული აქტის საფუძველზე.

5. წყლის ობიექტების სარეზერვო ფონდის საზღვრები დგინდება „წყლის შესახებ “ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამავე კანონის 93-ე მუხლის „ზ “ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მისაღები ნორმატიული აქტის საფუძველზე.

მუხლი 40. ატმოსფერული ჰაერის დაცვა კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე

კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე ატმოსფერული ჰაერის დაცვა ხორციელდება ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 41. მცენარეული რესურსების გამოყენება და დაცვა კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე

1. კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე მცენარეული რესურსების გამოყენება და დაცვა ხორციელდება „გარემოს დაცვის შესახებ “ და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ “ საქართველოს კანონების, ამ კანონისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. დაცული ტერიტორიების განსაზღვრული რეჟიმისა და ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონირების შესაბამისად, ტყის რესურსების დაცვისა და გამოყენების საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 42. რეკრეაციული რესურსების გამოყენება და დაცვა კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე

1. კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე დაცული ტერიტორიების ამ კანონით განსაზღვრული რეჟიმისა და ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონირების შესაბამისად, რეკრეაციული რესურსების დაცვისა და გამოყენების საკითხები რეგულირდება დაცული ტერიტორიების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით.

2. დაცულ ტერიტორიებზე რეკრეაციული რესურსების დაცვის მიზნით წარმოებს ვიზიტორთა დასაშვები ლიმიტის გაანგარიშება. მისი გაანგარიშების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი IX. სამეურნეო საქმიანობა კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე

მუხლი 43. გარემოსდაცვითი მოთხოვნები კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისას

1. კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

2. კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე დაცული ტერიტორიების ამ კანონით განსაზღვრული რეჟიმისა და

ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონირების შესაბამისად, სამეურნეო საქმიანობის განხორციელების საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
საქართველოს 2007 წლის 23 მაისის კანონი №4791 - სსმ I, №19, 01.06.2007 წ., მუხ.167

თავი X. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

მუხლი 44. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის სფეროში

კოლხეთის ეროვნული პარკის, ქობულეთის ნაკრძალისა და ქობულეთის აღკვეთილის ტერიტორიების ან მათი ცალკეული უბნებისა და ზონების დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელებში (მსოფლიო მემკვიდრეობის უბნები, ბიოსფერული რეზერვატები) ჩართვის შემთხვევაში საქმიანობა ხორციელდება საერთაშორისო მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 45. კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების უბნები

1. კოლხეთის ეროვნული პარკის, ქობულეთის ნაკრძალისა და ქობულეთის აღკვეთილის საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების უბნებზე საქმიანობა ხორციელდება რამსარის კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე არსებულ საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების უბნებზე რამსარის კონვენციით საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულება წარმოებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი XI. კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნასთან დაკავშირებული მიწათსარგებლობის საკითხები

მუხლი 46. კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნასთან დაკავშირებული მიწათსარგებლობის საკითხები

1. ამ კანონს არა აქვს უკუქმედების ძალა კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე ამ კანონით დადგენილი საზღვრების ფარგლებში მიწათსარგებლობის სფეროში კერძო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ ქონებრივ ურთიერთობებზე (მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვის, უზუფრუქტის, აღნაგობის, ქირავნობის, გაცვლის, გაჩუქების, მემკვიდრეობით გადაცემის, იპოთეკისა და იჯარით გაცემის სფეროში არსებულ ურთიერთობათა ჩათვლით).

2. ამ კანონის მე-13– 18 მუხლებით დადგენილი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების რეჟიმი არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მიწებზე.

3. კოლხეთის დაცული ტერიტორიებისათვის ამ კანონით დადგენილი საზღვრების ფარგლებში გადასაცემი მიწის ნაკვეთების ინვენტარიზაცია, ჩაბარება, საზღვრების გამიჯვნა და სამიწათმოწყობო დოკუმენტაციის შექმნისა და მომზადების ორგანიზაცია, აგრეთვე ამ ტერიტორიებზე მიწათსარგებლობა წარმოებს ამ კანონის 49-ე მუხლით დადგენილი წესით.

4. ამ კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების დადგენილი წესით შექმნამდე კოლხეთის დაცული ტერიტორიების ამ კანონით დადგენილი საზღვრების ფარგლებში არსებულ მიწის ნაკვეთებს იბარებს საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

5. კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე გეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოების წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.
საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2407 - სსმ I, №43(50), 21.09.1999 წ., მუხ.231

თავი XII. პასუხისმგებლობა კანონის დარღვევისათვის

მუხლი 47. პასუხისმგებლობა კანონის დარღვევისათვის

ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

კარი III. გარდამავალი ნაწილი

თავი XIII. გარდამავალი დებულებანი

მუხლი 48. (ამოღებულია)

საქართველოს 2007 წლის 23 მაისის კანონი №4791 - სსმ I, №19, 01.06.2007 წ., მუხ.167
საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5631 - სსმ №48, 27.12.2007 წ., მუხ.421

მუხლი 49. კოლხეთის ეროვნული პარკის, ქობულეთის ნაკრძალისა და ქობულეთის აღკვეთილის შექმნასთან დაკავშირებული გარდამავალი დებულებები

1. ამ კანონით დადგენილი საზღვრების ფარგლებში კოლხეთის ეროვნული პარკის, ქობულეთის ნაკრძალისა და ქობულეთის აღკვეთილის მიწების ინვენტარიზაციის (საზღვრების გამიჯვნის) და მათი მიღება-ჩაბარების სამუშაოების, აგრეთვე სამიწათმოწყობო დოკუმენტაციის შექმნისა და მომზადების ორგანიზაციის დასრულების ვადად განისაზღვროს 1999 წლის 1 მაისი.

2. ამ კანონით დადგენილი საზღვრების ფარგლებში კოლხეთის ეროვნული პარკის, ქობულეთის ნაკრძალისა და ქობულეთის აღკვეთილის მიწების ინვენტარიზაცია და მათი მიღება-ჩაბარების სამუშაოები ხორციელდება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ “ საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კოლხეთის ეროვნული პარკის, ქობულეთის ნაკრძალისა და ქობულეთის აღკვეთილის საზღვრების ფარგლებში არსებულ მიწებზე ამ კანონის ამოქმედების შემდეგ არ ვრცელდება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 2 აგვისტოს №446 ბრძანებულებით და მოქმედი სატყეო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

4. კოლხეთის დაცული ტერიტორიების საზღვრების ფარგლებში არსებულ მიწებზე, გარდა კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის და ქობულეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა, არ ვრცელდება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.

5. ამ კანონის 15^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად 2024 წლის 1 იანვრამდე დაშვებულია ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილება არაუმეტეს 30 ც. ძ.-ის, თხევად საწვავზე მომუშავე შიგაწვისძრავიანი ნავით.

6. ამ კანონის 15^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად 2024 წლის 1 იანვრამდე დაშვებულია ვიზიტორთა თხევად საწვავზე მომუშავე შიგაწვისძრავიანი ნავით მომსახურება.

საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4226 - სსმ №2, 04.01.2007 წ., მუხ.31
საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის კანონი №5203 - სსმ I, №28, 18.07.2007 წ., მუხ.288
საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონი №5631 - სსმ №48, 27.12.2007 წ., მუხ.421
საქართველოს 2008 წლის 27 ივნისის კანონი №89 - სსმ I, №12, 14.07.2008 წ., მუხ.101
საქართველოს 2011 წლის 13 ოქტომბრის კანონი №5128 - ვებგვერდი, 31.10.2011წ.
საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი №6445 - ვებგვერდი, 25.06.2012წ.
საქართველოს 2013 წლის 24 დეკემბრის კანონი №1844 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.
საქართველოს 2016 წლის 17 თებერვლის კანონი №4737 - ვებგვერდი, 25.02.2016წ.
საქართველოს 2019 წლის 30 მაისის კანონი №4723 – ვებგვერდი, 05.06.2019წ.
საქართველოს 2020 წლის 13 ივლისის კანონი №6752 – ვებგვერდი, 20.07.2020წ.

მუხლი 50. (ამოღებულია)

საქართველოს 2007 წლის 23 მაისის კანონი №4791 - სსმ I, №19, 01.06.2007 წ., მუხ.167

მუხლი 51. კოლხეთის ეროვნული პარკის შექმნასთან დაკავშირებული გარდამავალი დებულებები

1. ამ კანონის მოქმედება მისი ამოქმედებიდან 10 წლის განმავლობაში არ ვრცელდება კოლხეთის ეროვნული პარკის ამ კანონით დადგენილი ტერიტორიის საზღვრების ფარგლებში მოქცეულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ ტერიტორიებზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კოლხეთის ეროვნული პარკის ამ კანონით დადგენილი ტერიტორიის საზღვრების ფარგლებში მოქცეული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამგებლობაში არსებული ტერიტორიები დაცული ტერიტორიების ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინებით დროებით რეგულირდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით „კოლხეთის ეროვნული პარკის კანონით დადგენილი ტერიტორიის საზღვრების ფარგლებში მოქცეული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამგებლობაში არსებული ტერიტორიების დროებითი რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“, რომელსაც საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით წარადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

საქართველოს 2011 წლის 11 მარტის კანონი №4404 - ვებგვერდი,17.03.2011წ.
საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კანონი №480 – ვებგვერდი, 05.04.2013წ.

მუხლი 52. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტების გამოცემის ვადა

ამ კანონის 48-ე მუხლით განსაზღვრული ნორმატიული აქტები გამოიცეს 2008 წლის 1 იანვრამდე.

საქართველოს 2005 წლის 1 ივლისის კანონი №1878 - სსმ I, №41, 19.07.2005 წ., მუხ.296
საქართველოს 2007 წლის 23 მაისის კანონი №4791 - სსმ I, №19, 01.06.2007 წ., მუხ.167

კარი IV. დასკვნითი ნაწილი

თავი XIV. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 53. საქართველოს ნორმატიული აქტი, რომელიც ძალას კარგავს კანონის ამოქმედებისთანავე

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის თაობაზე" საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 7 მარტის დადგენილების (პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., №003) მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

მუხლი 54. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 1999 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე
თბილისი,

1998 წლის 9 დეკემბერი.
№1720 – Iს